კომერციული ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 203828304) (ლიცენზია №0110247) მიმართ დაკისრებული სანქციის (ფულადი ჯარიმა) თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 203828304, ლიცენზიის №0110247) „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე 66,373 (სამოცდაექვსი ათას სამას სამოცდაცამეტი) ლარით დააჯარიმა. აღნიშნული სანქცია (ფულადი ჯარიმა) გამოიცა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის N100/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების დარღვევის ფაქტზე.